



**განათლების, მეცნიერებისა და  
ახალგაზრდობის სამინისტრო**

დimitრი უზნაძის N52  
0102 თბილისი, საქართველო  
+995 32 2200 220  
pr@mes.gov.ge

30/05/2025



MES 3 25 0000602940

**მოქალაქე სალომე სოსიაშვილს**  
ელ.ფოსტა: foirequest-3516-3b97322f@askgov.ge

**ქალბატონო სალომე,**

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში წარმოდგენილ თქვენს განცხადებასთან (რეგისტრაციის N575264; 27.05.2025) დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, მე-40 მუხლების გათვალისწინებით გაცნობებთ, რომ „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გვერდზე (<http://mes.gov.ge/publicInfo/>) პროაქტიულად ქვეყნდება ამავე დადგენილებით გათვალისწინებული ინფორმაცია/სტატისტიკა. თქვენ მიერ განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია აღნიშნული დადგენილების შესაბამისად კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებულია სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

აქვე განგიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

**პატივისცემით,**

**საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე  
პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე**

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი)  
საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი  
ნათია ლომთაძე

